

**საქართველოს კანონი**

**„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების“  
მოწეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების  
შეტანის შესახებ**

მუხლი 1. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 19.04.2005, მუხ. 96) 38 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის ამოქმედებამდე კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული ლიცენზიები (გარდა სამორინეებისა და ლატარიებისა) ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ექვემდებარება ნებართვებად გაფორმებას, ხოლო სამორინეების მოწეობისათვის გაცემული ლიცენზიები და ნებართვები ძალაშია 2006 წლის 1 იანვრამდე, რომლის შემდეგაც სამორინეს მოწეობისათვის ნებართვები გაიცემა ამ კანონისა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად. ლატარიების ორგანიზებისათვის გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების მფლობელებს ლატარიის ჩატარების უფლება გაუგრძელდეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 16 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი